ხელშეკრულება№ I -1/36
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი ----------6 აგვისტო----2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ლევან ძნელაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „თბილი სახლი“, მისი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საბიუჯეტო სახსრებიდან, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების (CPV 45300000) ფარგლებში მომსახურეობის გაწევა.

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში არსებული ოქროს ფონდის საგამოფენო დარბაზში კლიმატური პირობების უზრუნველსაყოფად, სავენტილაციო-კონდიცირების სისტემის გამართულად მუშაობისთვის, მომსახურების გაწევა (CPV 45331230 - გამაგრილებელი მოწყობილობების მონტაჟი).

| № | მომსახურების დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეული მასალის ღირებულება ფასი | მასალის საერთო ღირებულება | მონტაჟის ღირებულება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სამაცივრო დანადგარის დედა ელ. დაფა (კონტროლერი) შეკეთება | ცალი | 2 | 240.00 | 480.00 | 150.00 | 630.00 |
| 2 | ამომრთველი 50 ამპერიანი 3 პოლუსა | ცალი | 2 | 150.00 | 300.00 | 100.00 | 400.00 |
| | ჯამი | ცალი | 4 | 390.00 | 780.00 | 250.00 | 1030.00 |
| | დღგ 18% | | | | | | 185.4 |
| | სულ სახელშეკრულებო ღირებულება | | | | | | 1215.40 |

2.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მთლიანი ღირებულება შეადგენს 1215.40 (ერთი ათას ორას თხუთმეტი ლარი და 40 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მოწოდების ვადა: 2014 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

3.2. მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის #1.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემოწმებით თუ გაწეული მომსახურეობა აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერებით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

4.2. მომსახურება ჩაითვლება სრულად შესყიდულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. მომსახურების შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურეობაზე წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია გასაწევი მომსახურების შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

6.2.2. გაწეული მომსახურების ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

6.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა;

6.4.2. გაწეული მომსახურების ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

6.4.3. წინასწარ აცნობოს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

6.4.4. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურეობის ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს მომსახურეობის უხარისხოდ ან არაჯეროვნად გაწევის გამო.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1/% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.

7.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის ვალდებულებისაგან.

7.5. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის გასაწევი მომსახურების ღირებულების 10 %-ს შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

## 8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს შესაბამისი წესის შესაბამისად.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებითდა ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს, ნუგზარ მიქაძე - ტექნიკური სამსახურის უფროსი და მიხეილ ჭუმბურიძე - ტექნიკური სამსახურის მენეჯერი.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ''ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაუულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახდა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

11.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. შეწყვეტის შესახებ მათ ერთმანეთს უნდა აცნობონ 30 დღით ადრე.

11.4. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

## 12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

## 13. დასკვნითი დებულებანი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 14. მხარეთა რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“ | შპს „თბილი სახლი“ |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 204468664 | მის. იურიდ/ფაქტ: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. |
| იურიდ. მის: თბილისი, რუსთაველის გამზ.#3. | 20/კოსტავას ქ.#76. |
| ფაქტ/მის: თბილისი, რუსთაველის გამზ. #3. | ტელ: 2311535/25, 577 29 29 55. |
| ტელეფონის ნომერი: 298 21 35. | საიდენტ: 204976179 |
| სახელმწიფო ხაზინა | სს“საქართველოს ბანკი“ |
| კოდი: TRESGE22 | კოდი: BAGAGE22 |
| ა/ა GE24NB0330100200165022 | ა/ა GE19 BG 0000 0001 7557 9101 |

ლევან ძნელაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე

მალხაზ კურტანიძე
დირექტორი